№ 101 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. ფოთი, მაისის 8 1920 წ.

მთავრობის მოამგე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

შრომის მინისტრისაგან

ყველა საწარმოონი და დაწესებულებანი (კერძო, საზოგადო და სახელმწიფო) რომლების მოსამსახურენი და მუშები სარგებლობენ სურსათით მომარაგების ფონდიდან, ვალდებულნი არაან დაუყონებლივ წარმოადგინონ შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდაში იმ მუშებისა და მოსამსახურეების სია, რომლებიც გაწვეულნი არიან სამხედრო სამსახურში, აგრეთვე წარმოადგინონ მათი სასურსათო ბარათის №№.

საწარმოოს ან დაწესებულების ადმინისტრაცია, რომელიც 10 მაისამდე არ წარმოადგენს ამ ცნობას, ან სწორათ არ აჩვენებს, პასუხისგებაში იქნება მიცემული.

შრომის სამინისტრო

494 3—2

ოფიციალური განყოფილება

კ ა ნ ო ნ ი

ოფიცერთა და ჯარისკაცთა ტანისამოსის ფორმის შეცვლისა.

1. დამფუძნებელი კრების 1919 წლის ივლისის 29-ს კანონით დამტკიცებული ოფიცერთა და ჯარისკაცთა ტანისამოსის ფორმის ნაცვლად (კან. და მთავ. განკარგ. კრებ. 1919 წლ. № 14, კანონი 129) შემოღებულ იქნეს რესპუბლიკის ოფიცერთა და ჯარისკაცთა ტანისამოსის ახალი ფორმა, ამ კანონთან დართული აღწერილობის თანახმად.

2. რესპუბლიკის არმიისა და გვარდიის ოფიცრებს ახალი ფორმის ტანსაცმელის შეძენისათვის მიეცეს დახმარების სახით ერთდროულად ორი ათასი (2.000) მანეთი თვითეულს.

3. ამ კანონის მეორე (2) მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებისათვის სამხედრო უწყების 1919/1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამატებად ორი მილიონი ოთხას ოცდათექვსმეტი ათასი (2·436,000) მანეთი.

1920 წ. აპრილის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

ოფიცერთა და ჯარის კაცთა ტანისამოსის ფორმის აწერა. ჩვეულებრივი ფორმა ოფიცერთათვის.

1. ფრენჩი, უკან ნაოჭებით, ჯიბეებით გვერდზე და გულზე, ყოშებით; ყოში უფოლაქოთ და უშესაკრავოდ, განით $2^1/_2$ გოჯი; ჯიბეები უნაკეცებოთ. ფრენჩზე სამხრეულები იმავე ქსოვილისაგან გარშემოკერილი, ჯარის დარგის ფერ ყაითნით, განით ძირში 6 სანტიმ. და ზედანაპირაზე 3 სანტიმენტრი სიგრძე მხრის მიხედვით. საყელო ამართულიდუგმებით შესაკრავი. საყელოზე ნაჭრები ქვემოთ ნაჩვენებ ნიმუშისა.

2. ქართული ხალათი სამხრეულებით და ორი ჯიბით გულზე, რუხი დამფარავი ფერის ქსოვილისა, საყელო, გულისპირი და ჯიბეები შავი ყაითნით შემოვლებული. სამხრეულები როგორც ფრენჩზე.

3) შარვალი რუხი დამფარავი ფერისა, მოკლე, შინდისფერის ყაითნით, ყოველგვარ ჯართათვის მწყობრ გარეშე ნებადართულია შარვალი რუხი, მოლურჯო ფერისა, როგორც მოკლე, აგრეთვე გადმოშვებული.

4. ქუდი: ა) ბოხოხი რუხი, სამი ვერშოკის სიმაღლისა (ცა—დამფარავი ფერისა); ბ) თუშური ქუდი (ომიანობის დროს დამფარავი ფერის ქსოვილისა); ცა ბოხოხისა და თუშური ქუდისა გადაკერილია ჯვარედინათ თეთრი ბუზმენტით. ზაფხულის განმავლობაში ქუდი ინგლისური ნიმუშისა—დამფარავი ფერის ქსოვილისა.

5. პალტო შემუშავებული ნიმუშისა რუხი დამფარავი ფერისა, ცალფა-კალთიანი. იმავე მასალის სამხრეულებით ყაითან შემოვლებული, ფერი ჯარის დარგის მიხედვით, და საყელოზე ნაჭრებით, ქვემოთ ნაჩვენებ ნიმუშისა.

6. ფეხსაცმელი: ა) მაღალ ყელიანი ჩექმა, ბ) უყელო წაღები ტოლაღებით, ან საცვეთებით და გ) მწყობრს გარეშე ნებადართულია უყელო წაღა.

სადარაჯო ფორმა ოფიცერთათვის:

ისეთივე, როგორც ჩვეულებრივი, მხოლოდ მაღალ-ყელიანი ჩექმებით, ქამრით და რევოლვერით (ქამარი მოქნილი ტყავისა $1^1/_4$ გოჯის განისა, მწყობრს გარეშე ქართული ქამრით).

საველე ფორმა ოფიცერთათვის:

ისეთივე, როგორც სადარაჯო, მხოლოდ საველე ჩანთით რუკისათვის და დურბინდით.

იარაღი:

მწყობრში, სადარაჯო ფორმაზე და უფროსებთან გამოცხადებისას ყველას, ვისთვისაც დაწესებულია იარაღის ტარება, უნდა ჰქონდეს ხმალი, საველე ფორმაზე ჯარის ყველა დარგში, ცხენოსან ჯარის გარდა, ხანჯალი, ამას გარდა მწყობრში ლაშქრობისა და სადარაჯო ფორმაზე—რევოლვერი.

ჩვეულებრივი ფორმა ჯარისკაცთათვის:

1. ისეთივე ქართული ხალათი, როგორც ოფიცერთათვის.

2. მოკლე შარვალი იმავე ფერისა, როგორც ხალათი, მაგრამ უყაითნოთ.

3. ქუდი ისეთივე, როგორც ოფიცრებისა. რიგის ჯარის კაცებს და თავმდებებს, უბუზმეეტოთ ცაზე, ხოლო ნაცვლებსა და ზემდეგბს—ბუზმენტებით.

4. პალტო ისეთივე, როგორც ოფიცრებისა.

5. ფეხსაცმელი: ა) მაღალ ყელიანი ჩექმები, უყელო წაღები, ტოლაღებით საცვეთებით ან პაიჭებით.

6. ქამარი ისეთივე, როგორც ოფიცრებისა.

სადარაჯო ფორმა ჯარისკაცთათვის:

ისეთივე როგორც ჩვეულებრივი, მხოლოდ ერთი ვეზნით.

საველე ფორმა ჯარისკაცთათვის:

ისეთივე, როგორც სადარაჯო, მხოლოდ თან ერთვის ორი ვეზნა, ჩანთა, ტარონტაში, სათადარიგო ჩანთა, სასანგრო იარაღი, საველე კარვის ნაწილებით, პატარა ქვაბი და მათარაი-

გასარჩევი ნიშნება ოფიცრებისა და ჯარის კაცებისათვის ჯარის დარგის მიხედვით სამხრეულებზე.

გასარჩევი ნიშნები ჯარის დარგის გამოსაცნობად ოფიცრებისა და ჯარის-კაცებისათვის არის ლითონის ნიშანი (თითბრისა), რომელსაც ატარებენ სამხრეულებზე.

ქვეითა ჯარში:

ორი გადაჯვარედინებული თოფი.

არტილერიაში:

ორი გადაჯვარედინებული ზარბაზანი და შუაში ალიანი ყუმბარა.

ცხენოსან ჯარში:

ორი გადაჯვარედინებული ხმალი.

საინჟენერო ჯარში:

საპიორთათვის—გადაჯვარედინებული წერაქვი და ნიჩაბი.

საავტომობილო ნაწილში—ავტომობილი.

საავიაციო ნაწილში—აეროპლანი.

ტოპოგრაფთათვის — ფარგალი სამკუთხედით.

თანამდებობათა გასარჩევი ნიშნები:

ფერადი ნაჭრები (პეტლიცი) ხალათის, ფრენჩისა და პალტოს საყელოებზე.

ლეიტენანტისათვას—კუთხე ერთი ვარსკვლავით.

უფროსი ლეიტენანტისათვის—კუთხე ორი ვარსკვლავით.

კაპიტანისათვის—კუთხე სამი ვარსკვლავით.

მაიორისათვის—ორი კუთხე ორი ვარკვლავით.

პოლკოვნიკისათვის—ორი კუთხე სამი ვარსკვლავით.

გენერლისათვის—კუთხე კლაკნილი და ერთი ვარსკვლავი.

სამხედრო მინისტრის ამხანაგისათვის, ლაშქრის სარდლისათვის და სამხედრო საბჭოს წევრისათვის—კუთხე კლაკნილი და ორი ვარსკვლავი.

ადგილი ნაჭრებისა (პეტლიცებისა) ჯარის დარგის მიხედვით.

1) ქვეითი ჯარისთვის და საყარაულო ათასეულისათვის—შინდის ფერი.

2) ცხენოსან ჯარისთვის—ცისფერი.

3) არტილერიისა, საინჟენერო-სატეხნიკო ჯარებისა და გენერალური შტაბის ოფიცრებისათვის—შავი.

4) სანაპირო ჯარისათვის—მწვანე.

5) სამხედრო სკოლისათვის—წითელი.

6) სამხედრო სამინისტროს განყოფილებისათვის—მუქი ყვითელი.

7) ჯართა ნაწილების ყველა სამმართველოებისათვის—ჯართა დარგის მიხედვით.

შენიშვნა: კუთხეები ვერცხლისა, ვარსკვლავები—ოქროსი.

გასარჩევი ნიშნები ჯარისკაცთათვის:

1) თავმდეგს აქვს ლითონის ერთი ვარსკვლავი პალტოსა და ხალათის საყელოზე.

2) უმცროს ნაცვალს—ორი ვარსკვლავი.

3) უფროს ნაცვალს—სამი ვარსკვლავი.

4) ზემდეგს საყელოს შუა 1 გოჯის სიგრძისა და ნახევარი სანტიმეტრის სიგანის ზონარი, ფერი—ჯარის დარგის მიხედვით, სამი ვარსკვლავით.

5) ზედ მეტ მსახურთათვის გარდა ამისა ემატება საყელოზე კუთხე წვეტით ქვეით, ფერი—ჯარის დარგის მიხედვით.

კ ო კ ა რ დ ი:

ოფიცრებისა არსებული ნიმუშისა, მხოლოდ ამობურცული—შავი, თეთრი და შინდის ფერი, კონცენტრიული წრეებით, კოკარდის გარშემო კუწუბები.

ჯარისკაცებისათვის ისეთივე, მხოლოდ ბრტყელი და უკუწუბო.

აქსელბანტები:

ძაფეული დამფარავი ფერისა.

შენიშვნა: დადგენილია იმ ოფიცრებისათვის, რომელთაც აქვთ ადიუტანტის სახელწოდება, აგრეთვე გენერალური შტაბის ოფიცრებისათვის.

დ ე ზ ე ბ ი:

დადგენილია იმათთვის, ვისაც ცხენი ეძლევა.

შესაკრავები:

ხალათზე—ყაითნისა, ფრენჩსა და პალტოზე—ძვლისა.

ნუმერაცია:

ქვეითა ჯარის ერთეულებისა და არტილერიის დივიზიონისათვის სამხრეულებზე ლითონის ყვითელი ფერისა ან ქსოვილი ციფრები.

ქვეითა ჯარისა და არტილერიის ერთეულები აღინიშნება არაბული ციფრით. ბრიგადის ნომრები—რომაულად. ციფრები მოთავსდება-გასარჩევ ნიშნის ქვემოდ.

ლიტერები სამხრეულებზე უნდა იყოს ყვითელი ფერის ლითონისა.

სამხედრო სკოლაში	„სკ.“
საარმიო არტილერიის დივიზიონში .	„არმ.“
სადარაჯო ათასეულში	„დ.“
სამხედრო სამინისტ. განყოფილებაში	„სმ.“
სანაპირო ჯარის სამმართველოში . .	„სნპ“

გენერალურ შტაბის ოფიცრებისათვის, რომელსაც ისინი ასრულებენ იმ თანამდებობას, სადაც შტაბის მიხედვით უნდა იყოს გენერალური შტაბის ოფიცერი—სახელმწიფო გერბი.

ექიმთა და მოხელეთა ტანისამოსის ფორმა:

სამხედრო უწყების ექიმები და მოხელენი ატარებენ ისეთსავე ფრენჩსა და ხალათს, როგორც ოფიცრები, სამხრეულებით, მაგრამ თანამდებობის გასარჩევი ნიშნების გამოკლებით.

გასარჩევი ნიშნები:

მედიცინის ექიმებისათვის—მინანქრის წითელი ჯვარი, ბეითლებისათვის—ლურჯი, დანარჩენ მოხელეთათვის ყვითელი ფერის ერთი ვარსკვლავი—ყველას სამხრეულებზე.

სამოქალაქო ტანისამოსის ტარება.

ოფიცრებს და გენერლებს ნება აქვთ სამსახურის გარეშე სამოქალაქო ტანისამოსი ატარონ.

1920 წ. აპრილის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

სავალდებულო დადგენილება

ქ. ტფილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების გენერალ-გუბერნატორისა.

1. აკრძალულია ყოველნაირი სასროლი იარაღის ტარება და შენახვა ყველა მოქალაქეთათვის, გარდა რესპუბლიკის ოფიცრებისა, რომელნიც სამსახურში იმყოფებიან, სახალხო გვარდიის წევრებისა და იმ მოსამსახურე პირთა, რომელთაც აქვთ მიცემული შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ სათანადო ნებართვა.

ყველა საზოგადო ორგანიზაციები და კერძო პირები, ზემოთ მოყვანილთა გამოკლებით, ვალდებულნი არიან ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებიდან 24 საათში ჩააბარონ ყველა იარაღები მილიციის სამმართველოებს.

დამრღვევნი ამ სავალდებულო დადგენილებისა მიცემულ იქნებიან სამხედრო საგანგებო სამართალში.

2. აკრძალულია თავმოყრა და კრებების გამართვა ქუჩებში გენერალ-გუბერნატორის ნებადაურთველათ, აგრეთვე კრებები სახლებში, გარდა იმ შემთხვევათა, როცა კრებებს იწვევენ ის პარტიები და ორგანიზაციები, რომელნიც დგანან საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ნიადაგზე და მოქმედებენ აშკარათ.

სახლის პატრონებს და ბინის დამქირავებელთ ევალებათ დაუყონებლივ აცნობონ ადგილობრივ მილიციის სამმართველოს ნებადაურთველი კრების შესახებ.

დამრღვევნი ამ დადგენილებისა დაისჯებიან სამი თვით ციხეში დაპატიმრებით.

ქ. ტფილისის და აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების გენერალ-გუბერნატორი
კ. ხუდადოვი.

ქ. ტფილისი. 3 მაისი, 1920 წ.

მთავრობაში

4 მაისის ხხდომა.

დაესწრენ: ბ.ბ. ნ. ჟორდანია, არსენიძე, რამიშვილი, გეგეჭკორი, ლორთქიფანიძე, ანდრონიკაშვილი, ავალიანი, გედევანიშვილი, ბახტაძე, ჭავჭანიძე, ცინცაძე, ქარცივაძე, ნ. ჭიჭინაძე, ბ. ჭიჭინაძე ალშიბაია, საქმთა მმართველი კ. ჯაფარიძე, მდივანი დ. ლომთათიძე.

ტფილისის ქალაქის მილიციის შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

1. შინაგან საქმეთა მინისტრმა შეიმუშაოს და წარადგინოს დამფუძნებელ კრებაში კანონ-პროექტი 1919 წლ. იანვრის 28-ის კანონის (ადმინისტრაციისა და მილიციის ად-

გილობრივ თვითმართველობათა ხელში გადაცემისა) ქალაქ ტფილისზე გავრცელების შესახებ.

2. ტფილისის ქალაქის მილიციის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა (1920 წ. 1-ლ იანვრიდან 1 ივნისამდე) მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას, მხოლოდ ქალაქის დახმარების ანგარიშში ჩაეთვალოს 1919 წელში სხვა და სხვა დროს მილიციის შესანახად სესხად მიღებული თანხები.

3. სახელმწიფო კონტროლიორმა შეიმუშაოს საათანადო კანონ-პროექტი დამფუძნებელ კრებაში წარსადგენად რევიზიის წესდების პირველი თავის მე-2 მუხლის შესაცვლელად იმ მხრივ, რომ ყველა საერობო, საქალაქო და საზოგადოებრივი დაწესებულებები უნდა უდგენდენ ანგარიშს სახელმწიფო კონტროლს იმ ფულისათვის, რომელიც მათ გადაეცემათ სახელმწიფო ხაზინიდან.

სარევიზიო კომისიის ჯილდოს გადადება.

გადაიდოს გზათა დეპარტამენტის განკარგულებაში 12,500 მან. ათ მილიონიან ფონდიდან ნავთსადგურთა სამართველოს სარევიზიოთ დანიშნულ კომისიის წევრთა დასაჯილდოებლად.

გზის შესაკეთებლად ფასის გადაღება

მიეცეს გზათა უწყებას სესხად სამი (3) მილიონი მანეთი მთავრობის განკარგულებაში არსებულ სამას მილიონიან ფონდიდან ოსეთის სამხედრო გზის (ქუთაისიდან ონამდე და ზევით) შესაკეთებლად.

ქალ. ონის მცხოვრებთათვის სურსათის მიცემის წესი.

მომარაგების სამინისტროს უფლება მიეცეს ქალ. ონის მცხოვრებლებს იმავე ფასებში მისცეს სიმინდი, როგორც რაჭის მაზრის დანარჩენ მცხოვრებთ.

მობილიზაციით აწვეულთა ოჯახებისათვის რაციონის მიღების განგრძობა

მობილიზაციით გაწვეულ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებს არსებული რაციონი მიეცეთ იმავე წესით, როგორც აქამდე იღებდენ.

კანონ-პროექტის მიღება.

იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი შპიონაჟთან ბრძოლის საშუალებთა და საქმეთა კვლევა-ძიების უფლების დაზღვევის ნაწილის მოსამსახურეთათვის მინიჭების შესახებ მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

სესხი ერობებისათვის.

1. გამოთხოვნილ იქნას მთავრობის განკარგულებაში რესპუბლიკის ერობებისათვის სესხის მისაცემათ ასი მილიონი მანეთის ფონდი.

2. აღნიშნულ ფონდიდან ერობებს სესხი მიეცემათ ხარჯთ-აღრიცხვისა და საჭირო მასალების წარმოდგენის შემდეგ თითეულ შემთხვევაში ცალკე.

3. საათანადო დეკრეტის შედგენა, დამფუძნებელ კრებაში წარსადგენად, სადაც განსაზღვრული უნდა იყოს წესი სესხის დაფარვისა, დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

ქალაქებისათვის სესხის მიცემის წესი.

1. ქალაქებისათვის სესხის მისაცემად თანხის იმ წესით გამოთხოვნა, როგორიც ერობებისათვის უარყოფილ იქნას.

2. თითეულმა ქალაქმა სესხის აღებაზე უნდა იშუამდგომლოს ცალკე.

შინ. საქმეთა სამინისტროში

უძრავ ქონების იძულებითი ჩამორთმევა

თიანეთის სამაზრო ერობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინ. ს. ს. წინაშე, რათა მთავრობამ დაადასტუროს ერობის ხმოსანთა მესამე ყრილობის 4 მარტი, 1920 წ. დადგენილება მოსე გიორგის ძე ხითაროვის უძრავ ქონების ჩამორთმევის, რომელიც მდებარეობს დ. თიანეთში. აღნიშნული მამული ერობას ესაჭიროება მაზრის საავადმყოფოს მოსაწყობათ. რადგან 11 ივლისის 1919 წ. კანონის ყველა ფორმალური მხარე შესრულებულია — შინაგან საქმეთა სამ. სათანადო მოხსენება წარუდგინა რესპუბლიკის მთავრობას.

არქივის ჩაბარება.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის განკარგულებით რესპუბლიკის ცენტრალურ სამეცნიერო არქივის წარმომადგენელთ ჩაბარდა ტფილისის სამაზრო სამმართველოს არქივი.

დირექტორის დანიშვნა.

შინაგან საქმეთა კანცელარიის დირექტორად დაინიშნა ადმინისტრაციის ინსპექტორი გეგელაშვილი წინანდელ თანამდებობაზე დატოვებით.

2.000 000 მან. სესხი ქალაქის ლომბარდისათვის.

ტფილისის ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე 2.000.000 მან. სესხის აღების შესახებ ლომბარდისათვის. ლომბარდს, ფულის კურსის დაცემის გამო, საბრუნებელი თანხა არ ჰყოფნის და მცხოვრებთ ვერ აკმაყოფილებს. შინ. საქმ. სამ. მოხსენება წარუდგინა მთავრობას აღნიშნულ შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად.

დახმარება რაჭის ერობას.

შინაგან საქ. მინ შემდეგი მოხსენება წარუდგინა მთავრობას რაჭის ერობის შუამდგომლობის შესახებ:

რაჭის სამაზრო ერობის გამგეობა შუამდგომლობს ჩემს წინაშე, რათა მთავრობამ წყალდიდობის მიერ წაღებულ ხიდების გასაკეთებლად მისცეს დახმარების სახით ერთი მილიონი მანეთი და საჭირო მასალა და იარაღები.

1919 წელს რაჭის მაზრაში წყალდიდობის დროს წაღებულ იქმნა ხიდეები და გაფუჭებული გზები. ნაპირებიდან გადმოვარდნილმა მდინარეებმა წალეკეს ბევრ ალაგას ნათესები. ჭიორის ჭალა გაანადგურა რიონმა, მდ. ლუხუნამ მარჯვენა მხარეზე მდებარე ყანები წალეკა. ამგვარად ხალხს დიდი ზარალი მოუვიდა და მდინარეების მიერ წაღებულ ხიდების და გზების გასაკეთებელი თავი არა აქვს. რაჭის მაზრა ისედაც, ცუდი გზების გამო, გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო და ხსენებულ წყალდიდობის შემდეგ ხომ მაზრაში მიმოსვლა მეტად გაძნელდა.

მცხოვრებთ არა აქვთ საშუალება გარდა ფიზიკური შრომისა, რაიმე გაიღონ გზების და ხიდეების გასაკეთებლად. სამაზრო ერობა უძლურია და ამიტომ მთავრობამ უნდა მიაქციოს ყურადღება ზემოაღნიშნულს მოვლენას.

ერობა თხოულობს ერთ მილიონ მანეთს დახმარებას და გარდა ამისა საჭირო მასალას. წარმოდგენილ სიით ერობას უფლება უნდა მიეცეს ხეების მოჭრისა ნაჩვენებ ტყეებში. აგრეთვე ითხოვს იარაღს და დინამიტსაც.

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს მე საჭიროდ მიმაჩნია მიეცეს რაჭის სამაზრო ერობას ერთი მილიონი მანეთი ხაზინიდან დახმარების სახით, აგრეთვე ნება მიეცეს მას სიაში მოხსენებული ხის მასალა გაიტანოს სახელმწიფო ტყეებიდან უფასოდ და საჭირო იარაღები რამდენიც შესაძლებელი იქნება მთავრობამ ათხოვოს ერობას იმ პირობით, რომ მუშაობის დამთავრების შემდეგ ისევ უკანვე დააბრუნოს.

საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის შორის დიპლომატიური მიწერ-მოწერა

ე. პ. გეგეჭკორის პასუხი 7-მარტის ნოტაზე.

ა. წ. 7 მარტ. საქ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგ. პ. გეგეჭკორმა საგარეო საქ. სახალხო კომისარ ჩიჩერინისაგან მიიღო ნოტა, რომელიც თავის დროზე საინფორმაციო განყოფილებამ გამოაქვეყნა. ამ ნოტის საპასუხოთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიჩერინს თოთხმეტ აპრილს შემდეგი ნოტა გაუგზავნა: მოსკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს: 29 თებერვალს თქვენ მიერ გამოგზავნილი ნოტა, რომელიც 7 მარტს მივიღეთ, არის წინა ნოტების გამეორება და მას საგაზეთო პოლემიკის ხასიათი აქვს. საქართველოს მთავრობა იძულებულია ხაზი გაუსვას მას რომ საბჭოთა მთავრობის საქართველოს წინააღმდეგ ასეთს გამოსვლას არ შეუძლია უპასუხოს რუს და ქართველი ხალხის ინტერესებს და იგი ხელს არ შეუწყობს ამ ორ ძმურ ხალხის ეროვნულ დამოკიდებულების დამყარებას. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სრულად გარკვევით აცხადებს, რომ იგი მთელი თავისი ძალით მიისწრაფის ამ დამოკიდებულებათა დამყარებისკენ და თუ სახალხო კომისართა საბჭოს სურს იგი, მაშინ აუცილებელია მან სათანადო ნაბიჯი გადასდგას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო, მზათ არის საზავო მოლაპარაკებას შეუდგეს. სიტყვა რუსეთის საბჭოთა მთავრობას ეკუთვნის, 1920 წ. 14 აპრ. № 1967. საგარეო საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი**. 21 აპრილს ჩიჩერინს შემდეგი შინაარსიის მე-2 ნოტა გაეგზავნა: მოსკოვი. საგარეო საქმეთა კომისარს ჩიჩერინს. ჩვენამდი მოსული ცნობის თანახმად წითელ ჯარებს ებრძანათ დაიჭირონ გაგრის ოლქი მდ. ბზიბამდე. საქართველოს მთავრობა ამ გვარ ბრძანებას სთვლის საბჭოთა მთავრობის მიერ საქმის ნამდვილი მდგომარეობის არ ცოდნის შედეგათ, ჩვენი რესპუბლიკის დაარსების დღიდან გვიკავია ჩვენი ისტორიული და სტრატეგიული საზღვარი გაგრის ოლქში. იყო დრო, როდესაც მოხალისეები შეეცადენ ჩვენს უკან დახევას მდ, ბზიბს აქეთ, მაგრამ საქართველოს ჯარებმა მდგომარეობა ბრძოლით აღადგინეს. საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნული ბრძანების ცხოვრებაში გატარება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებათა დაწყების მომასწავებელი იქნებოდა.

გაცნობებთ რა ამას, საქართველოს მთავრობის სახელით, იმედს გამოვსთქვამთ, რომ ბრძანება სათანადოთ შეიცვლება და არ იქნება გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც დაამტკიცებს საბჭოთა მთავრობის მტრულ განწყობილებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, რომელსაც არასოდეს არც ერთი მტრული ნაბიჯი არ გადაუდგამს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ № 3257. საგარეო საქმეთა მინისტრი ევგ. პ. **გეგეჭკორი**. 21 აპრილი 1920 წ.

ჩიჩერინის პასუხი.

ამ ნოტის საპასუხოთ გეგეჭკორმა ჩიჩერინისაგან შემდეგი ნოტა მიიღო. ტფილისში მოსკოვიდან საგარეო საქმეთა მინისტრს **გეგეჭკორს**. 24 აპრილი. საბჭოთა მთავრობას ოდნავადაც კი არ სურს საქართველოსთან ომი და არც კი აპირებს ძალით შეჭრას მის მიდამოებში.

ვტოვებთ რა გადაწყვეტილად საკითხს, რომელიც თქვენ მიერ ნაწოდებ ადგილს „გაგრის ოლქს“ ეხება, გთხოვთ შეგვატყობინოთ თქვენის აზრით სად გადის ამ ოლქის საზღვარი. წითელ არმიის ადგილობრივ სამხედრო სარდლობას დავალებული აქვს თქვენ სარდლობასთან ერთად გამოარკვიოს საკითხი იმ ხაზის შესახებ, რომელზედაც წითელი ჯარი არ უნდა გადავიდეს. ვაცხადებთ რა უარს, ჩვენი ჯარის საქართველოს მიდამოებში შეყვანაზე საბჭოთა მთავრობა იმავე დროს მოელის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უკან დახეულ თეთრგვარდიელთა ჯარის ნაწილები არ იქნება დაშვებული იმ შემთხვევაში, თუ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდენ, მათ იარაღი უნდა აეყაროთ და დაკავებულ იქნენ. საბჭოთა მთავრობა პირველად ყოვლისა მოელის თქვენგან დენიკინის სამხედრო ძალებთან დამოკიდებულების საკითხის გამორკვევას. ჩვენ ვიცით საქართველოს ტერიტორიით სარგებლობის ამბავი მოხალისეთა ჯარის ნაწილის მიერ, რომელიც საბჭოთა ჯარის შემოტევისგან თავს შველოდა და თავრიდის ნახევარ კუნძულზე გადასვლას იმსუბუქებდა. ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს მოგაგონოთ, რომ ყველა ჩვენ მომართვაში თქვენი მთავრობის მიმართ, ჩვენ ყოველთვის დაჟინებით მოვითხოვდით პირველად ყოვლისა დენიკინის ძალებთან თქვენი დამოკიდებულების გარკვევას. სამწუხაროდ, იგი ჯერაც არ არის გამორკვეული და ჩვენ იძულებული ვართ ხელახლა მოგმართოთ თქვენ წინადადებით გვიპასუხოთ ამ კითხვაზე და კერძოთ განმარტება მოგვცეთ დენიკინის შეიარაღებულ ჯარის ნაწილების მიერ თავისი ოპერაციებისათვის თქვენი ტერიტორიით სარგებლობის შესახებ. აგრეთვე გამოურკვევლად რჩება საკითხი სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების შესახებ, რომელთა სამხედრო ძალებსაც შეუძლიათ მიზნად დაისახონ წითელ ჯარის ოპერაციების ხელის შეშლა და მათ წინააღმდეგ შეტევითი მოქმედების დაწყება. გაეცნო რა თქვენი რადიო-დეპეშით თქვენს წინადადებას საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ, საბჭოთა მთავრობას პირველად ყოვლისა სურდა გაეგო—რითი იქნება იგი უზრუნველყოფილი იმისაგან, რომ სხვა სახელმწიფოთა სამხედრო ძალები, რომელთათვისაც თქვენთან შეკრული პირობა სავალდებულო არ იქნება, არ ისარგებლებენ ამ ხელშეკრულების შედეგით შექმნილ მათთვის სასურველ მდგომარეობით რაიმე მოქმედების მოსაწყობათ, რომელიც სერიოზულ ზიანს მიაყენებს საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკის მდგომარეობასა და ინტერესებს.

საგარეო საქმეთა სახალხო კომ. **ჩიჩერინი**.

პ ა ს უ ხ ი:

ამის საპასუხოთ ჩიჩერინს შემდეგი ნოტა გაეგზავნა: „მოსკოვი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს. კმაყოფილებით გაეცნო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თქვენს განცხადებას, რომ საბჭოთა მთავრობას ოდნავადაც არ სურს საქართველოს, თან ომი და არც სცდილობს მის სახღვრებში შეჭრას. სამწუხაროთ, საბჭოთა ძალა-უფლების ჩვენ მთავრობის კატეგორიული განცხადება სრულიად ეწინააღმდეგება კავკავში და ბაქოში მყოფ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლების საქართველოს საწინააღმდეგოთ ამგვარათ სამტრო გამოსვლებს. როგორც მაგალითად საბჭოთა მთავრობის რაზმმა ზარბაზნებით როყის გადასავალზე გადმოიარა საქართველოს საზღვარი და შემოიჭრა ტფილ. გუბ. გორის მაზრაში, ბაქოს დაჭერის შემდეგ საბჭოთა ჯარმა იქიდან დაიწყო, რომ დაატყვევა საქართველოს მისია, შესწყვიტა რკინის გზის მოძრაობა, ხელში ჩაიგდო საქართველოს ორთქლმავალები და მოძრავი შემადგენლობა. მომავალში საბჭოთა ჯარის მიერ ჩვენს საზღვართა გადმოლახვის ინციდენტის თავიდან ასაცილებლად და თქვენი შეკითხვის საპასუხოთ აუცილებლად მიგვაჩნია გაუწყოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ჩრდილოეთი საზღვარი იწყება შავი ზღვიდან, გადის მდ. მეხადირზე, შემდეგ მეხადირის სათავედან პირდაპირ ხაზით მიემართება ჩრდილოეთით კავკასიის ქედამდე შემდეგ ქედით კაზარის ხეობიანობით, კაზარის ხეობიდან კავკასიის ქედის წყალ გამყოფი ხაზით დარიალის ხეობამდე და მდინარე თერგზე ალექსანდროვის ხიდის წინ ორ ვერსით დაშორებულ წერტილზე. რაც შეეხება თქვენ მიერ აღძრულ საკითხს საქართველოს რესპუბლიკის გენერალ დენიკინის ჯარისადმი დამოკიდებულობას ვაცხადებ, როგორც წინა ნოტებში, რომ ის ყოველთვის იყო გამორკვეული მოხალისეთა ჯარის დაარსების მომენტიდან მის ლიკვიდაციამდე. საქართველოს მთავრობა მასთან პერმანენტურ ომის მდგომარეობაში იყო და არა ერთხელ ჰქონდა მასთან შეტაკება, როგორც ხმელეთზე, აგრეთვე ზღვაზე. ეს იცის მთელმა ქვეყანამ, არა ერთხელ ყოფილა იგი გამოცხადებული თვით დენიკინის ბრძანებაში და ეს საერთო ცნობილი ფაქტი საბჭოთა მთავრობისათვის რათ არის საკამათო, გაუგებარი. მოხალისეთა ჯარის დარჩენილი ნაწილი, რომელიც თერგის ოლქიდან, რიცხვით 8000 კაცი საქართველოს საზღვრებში შეიჭრა, დიდი ხანია იარაღ აყრილი და დაკავებულია. შემდეგ, საბჭოთა მთავრობა ვერ აღნიშნავს ვერც ერთს შემთხვევას საქართველოს მტრულ გამოსვლების შესახებ საბჭოთა რუსეთის მიმართ. საქართველო არას დროს არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედების ბაზათ.

საქართველოს დემოკრატია ბრმა იარაღათ ყოფნას ჩვეული არ არის. საქართველოს მომავალი ნაბიჯები საბჭოთა რუსეთის მიმართ სრულიად განსაზღვრული იქნება საბჭოთა რუსეთის საქართველოსადმი დამოკიდებულებით. რუსეთის მიერ სურვილის განცხადებით, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარეს და ამ ნიადაგზე საზავო მოლაპარაკების დაწყებით. კიდევ ვიმეორებ, რომ სიტყვა საბჭოთა რუსეთს ეკუთვნის 29 აპრილი, 1920 წლ. № 3561, საგარეო საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი**.

საბჭოთა რუსეთის უკანასკნელი პასუხი

3 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მოსკოვიდან მიიღო კავკასიის ფრონტის საბჭოთა ჯარისადმი გამოცემულ ბრძანების შემდეგი ასლი: მოსკოვი, 3 მაისი, 1920 წ. საგარეო საქმეთა კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა მიიღო საქართველოს მთავრობის ნოტა პროტესტით ჩვენი ჯარის საქართველოს ტერიტორიაში როკის გადასვლაში გორის მაზრაში შესვლის გამო, და აგრეთვე ბაქოში რუსის სამხედრო ძალების მიერ საქართველოს მისიის დაპატიმრების გამო. შე ვბრძანებ: პირველი—დაუდასტუროთ ფრონტის ჯარებს მოთხოვნილება რომ ამიერიდან არსად არ გადავიდენ საქართველოს საზღვრებზე, თუ ასეთი შემთხვევები იყო, მაშინ ჩვენმა ჯარმა უკან დაიხიოს. მეორე—გამოარკვიოთ ბაქოში საქართველოს მისიის დაპატიმრების საკითხი და თუ იგი მართლა იყო დაპატიმრებული, სასწრაფოდ გაეცით განკარგულება მათ გასანთავისუფლებლად. მესამე მომავალში საქართველოს საზღვრების გამორკვევამდე საზავო ხელშეკრულებით—საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრად უნდა ჩაითვალოს შემდეგი ხაზი, რომელიც შავი ზღვიდან გადის მდინარე მეხადირზე. შემდეგ მეხადირის სათავედან პირდაპირ მიემართება ჩრდილოეთით კავკასიის ქედამდე. შემდეგ ქედით კასარის ხეობიანთ. კასარის ხეობიდან კავკასიის ქედის წყალ გამყოფი ხაზით დარიალის ხეობამდე და მასში აღნიშნული საზღვრის ხაზი გადის მდ. თერგზე ალექსანდროვის ხიდის წინ ორი ვერსით დაშორებ-

ბულ წერტილთან. შესრულების შესახებ გთხოვთ დეპეშით შემატყობინოთ. № 21931 ხელს აწერს მთავარ სარდალი კამენევი, რ. სამ. საბჭოს წ. კურსკი, რევ. სამ. საბჭოს შტაბის უფროსი ლებედევი.

დეკეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

მოსკოვი ც. ა. კ. ბ. ბ ბიულეტენი

მოსკოვი. 6 მაისი, მოსკოვში პოლონელ კომუნისტების კონფერენციამ დაადგინა ერთიანდ ფრონტზე წავიდეს.

მოსკოვი. 7 მაისი, 8 მაისის სამხედრო ცნობები: კიევის რაიონში მდ. ირპენთან მყოფ რკინის გზასთან ჩვენ მტრის შემოტევა უკუ ვაგდეთ. ოდესის რაიონში ჩვენი არტილერია მტრის „კანონერკას“ ესვრის. აზოვის ზღვიდან მტრის 3 გემი ქ. ბერდინსკის დასავლეთი მყოფ სანაპიროს თოფს ესროდა. კავკასიის სანაპიროებში მტრის ოთხი გემი რომლებაც გიურკსა და მის დასავლეთით მყოფ დასახლებულ ადგილებს ესროდა, ჩვენი არტილერიის ცეცხლით უკუვაგდეთ. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს გამოუგზავნა განცხადება, რომლითაც წინადადებას იძლევა, რომ პირდაპირ მოელაპარაკონ გენერალ ვრანგელს იმ მიზნით, რომ საბოლოოთ მოლაპარაკებას შეუდგენ ყირიმზე შეტევის შესაწყვეტათ. ლორდ კერზონი წინადადებას იძლევა, რომ ამ მოლაპარაკებაში ინგლისის ოფიცრებმა მიიღონ მონაწილეობა, ზავის აღდგენის ერთად ერთი საშუალება ამბობს იგი მომავალი თავდასხმისაგან გარანტიის მიცემა არისო. თუ ეს გარანტია მიცემული იქნება და მას მიიღებს ინგლისი—მაშინ შესრულებული იქნება პირველი აუცილებელი პირობა და მოლაპარაკება მეგობრულ ტონით გაგრძელდება. საგ. საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა ამ განცხადებას უპასუხა: საბჭოთა მთავრობა ყოველმხრივ მზათ არის, რომ ინგლისის მთავრობის სურვილს შეეგებოს. იგი ეხლავე მზათ არის ყირიმის ფრონტზე სამხედრო—მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკება დაიწყოს ინგლისის მთავრობასთან, ან მასთან, ვიზედაც იგი მიგვითითებს იმ მიზნით, რომ ყირიმის ფრონტის ლიკვიდაცია მოხდეს უსისხლოთ. საბჭოთა მთავრობა მზათ არის ამ მოლაპარაკებაში დაუშვას გენ. ვრანგელისა და ინგლისის ოფიცრების მონაწილეობა, რაც შეეხება კავკასიის ფრონტს—იქ სამხედრო მოქმედებანი შეჩერებულია და საბჭოთა მთავრობამ მეზობელ სახელმწიფოებს პირდაპირ მიმართა წინადადებით დაუყონებლივ საზავო მოლაპარაკებათა დაწყების შესახებ. საბჭოთა მთავრობა პირობას იძლევა, რომ იგი მხედველობაში მიიღებს ინგლისის მთავრობის ინტერესებს კავკასიაში. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი იმედს გამოსთქვამს, რომ თანხმობა მოლაპარაკების დაწყების შესახებ იქნება მოსამზადებელი ნაბიჯი, რასაც მოჰყვება რუსეთისა და ინგლისის საერთო შეთანხმება. კავკასიის ფრონტის სარდალი იტყობინება, რომ დენიკინის ჯარების დარჩენილ ნაწილებისა და სოჩაში მყოფ რადის ხელში ჩაგდების შემდეგ კავკასიის ფრონტზე იარაღით ბრძოლა თავდებაო.

ფრანგული პრესა.

ოთხშაბათს გაფიცვები ისევ იმავე მდგომარეობაში იყო. ჩრდილოეთ მაღაროებში და ჰადეკალეში მუშაობდენ. გაფიცულნი არიან საზღვაო და ნავთსადგურის ზოგი ნაწილები. რკინის გზებზე მატარებელთა მიმოსვლა შესამჩნევათ გაძლიერდა. უკიდურესებიდან რამდენიმე კიდევ დააპატიმრეს.

ოსმალეთის დელეგაცია, რომელშიც შედის ყოფილ დიდი ვეზირი ტევფად-ფაშა, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ჯემალ-ფაშა, შინაგან საქმეთა მინისტრი რეშიდ-ბეი, სახალხო განათლების მინისტრი ფარედინ-ბეი, გენერალი მახმუდ-მუქტარი, სამხედრო მინისტრი და ამალა 30 კაცის შემადგენლობით ოთხშაბათს საღამოს ვერსალში მივიდა. ოსმალეთის დელეგატები დაუყონებლივ გაემგზავრენ სასტუმროში, სადაც მათ განკარგულებაშია ოთახები, რომლებიც წინათ გერმანიის მისიას ეჭირა.

ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებით, უნგრეთის უკანასკნელი მემორანდუმის პასუხი ვერსალში პოლკოვნიკ გენეიენმა მადიარის დელეგატებს ჩაბარა. უნგრეთის მთავრობის განკარგულებაშია 10 დღე, რათა მან აუწყოს იმათ პასუხი იმის შესახებ ილებს, თუ არა უნგრეთის მთავრობა ზავის პირობებს, განმარტებულს იმ წერილში, რომელსაც როგორც საზავო დელეგაციის თავმჯდომარე, ხელს აწერს მილიერანი. მოკავშირე სახელმწიფოები აცხადებენ: არ არის საჭირო პლებისციგი იმისთვის, რომ უნგრეთს გამოეყონ ერები, რომელნიც დროებითი ზავის შემდეგ თავის ნებით შეუერთდენ იმავე მეზობელ ხალხსა და იმავე ენას, როგორც მაგ. რუმინეთი, სერბია და ჩეხოსლოვაკიაო. თუ უნგრეთის ჰატარა კუნძულები ჩანერგილია უცხო ტერიტორიაში, ეს ის შედეგია, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელიაო.

თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვაზე გერმანიის მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა გემების შესახებ, რომ ყველა მოტანილი ერთეული განადგურებული უნდა იქნეს, გარდა: 1. 5 მსუბუქი კრეისერის და კონტრნაღმოსანისა, რომელსაც საფრანგეთი თავის ფლოტის შემადგენლობაში მიიღებს. 2. რამდენიმე გემისა, რომელსაც იტალია თავის ფლოტს უერთებს. 3. ექვსი ნაღმოსანისა, რომელიც გაუნაწილდება პოლონეთს, რომელსაც თუმცა თავისი ფლოტი არა ჰყავს, მაგრამ სურს, რომ იყოლიოს, და ბოლოს 4. გარდა ექვსი ნაღმოსანისა, რომელიც ბრაზილიას გადაეცემაო.

უცხოეთი

სომხეთის მთავრობის ახალი კაბინეტი

სომხეთის მთავრობის კაბინეტში ცვლილება მოხდა. მთავრობის სათავეში მოექცა არო ოგანჯანიანი. ხატისოვი ახალ კაბინეტში არ მოჰყვა. ახალი მთავრობა ბოლშევიკების წინააღმდეგ ფიქრობს რეპრესიების მიღებას.

გერმანიის კომუნისტების განხეთქილება.

სპარტაკელების დაქსაქსვა გერმანიაში ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ. აპრილის 5-ს კომუნისტების ერთმა ნაწილმა ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა სპარტაკელებთან და დაარსა ახალი მუშათა პარტია.

ოსმალეთის მოხალისეთა არმია.

კონსტანტინეპოლის მთავრობამ შეადგინა მოხალისეთა არმია. როგორც იტყობინებიან ეს არმია მიმართული იქნება ქემალ ფაშის წინააღმდეგ.

რუსეთის ლტოლვილნი.

რუსეთის ლტოლვილთ, რომელნიც იმყოფებიან კონსტანტინეპოლში და პრინცევის კუნძულზე, განუცხადეს რომ ისინი დაუყონებლივ გადასახლდენ ეგეის კუნძულებზე.

გზის განახლება პარიზ-ათინას შორის.

ამ დღეებში პარიზ-ათინას შორის განახლდება რკინის გზის ნორმალური მიმოსვლა.

იტალია და საბჭოთა რუსეთი.

იტალიაში დაბრუნდა სოციალისტების ცნობილი ლიდერი ბოლე

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია

(ოქმი № 9).

მამიკონიანი. ჩვენ აქ თქვენი მოწვევით მოვედით. მე დავსვი საკითხი, თუ სად იმყოფება ეხლა ადერბეიჯანის ჯარი, და შეჩერდა თუ არა მათი წინსვლა. ჩვენ ფნდა ვიცოდეთ იქლიტებიან ჩვენი მცხოვრებნი თუ არა. და ანამ ჩვენ არ მოგვცემენ დამაკმაყოფილებელ ჩვენებას, რომ არც სადავო და არც უდავო ტერიტორიაზე ეს სულ ერთია-ალარ არის ეს ჭლეტა-მანამ ჩვენ ერთად მუშაობა არ შეგვიძლია. თუ ის მეორდება, რაც ოსმალეთში იყო, მაშინ როგორ შეგვიძლია ჩვენ დაახლოვებაზე ვილაპარაკოთ. ჩვენ გთხოვთ გვაუწყოთ, რა ხდება ეხლა ნუხის, ახეშის, ყარაბახის და ელიზავეტპოლის მაზრაში. სანამ იღვრება ჩვენი სისხლი, ჩვენ არ შეგვიძლია აქ ლაპარაკი.

ხოელი. მე მესმის თქვენი მღელვარება, როგორც კი მივიღეთ ჩვენ კონფერენციის დადგენილება, ადერბეიჯანის მთავრობამ გასცა განკარგულება ყველგან სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ, და ეხლა ყარაბაღში ჩვენი ჯარის ყოველივე წინსვლა შეჩერებულია, როგორც ამის შესახებ მე უკვე განვაცხადე, რაც შეეხება სხვა რაიონებს, ამ საკითხის გამო ჩვენმა მთავრობამ შეადგინა ორი საგანგებო კომისია, ერთი ნუხის და გეოქჩაის რაიონში, მეორე ელიზავეტპოლის რაიონში. კომისიამ უნდა მოახდინოს მკაცრი გამოძიება რა მოხდა კერძოთ სომხების მიმართ დ-ძლიერ მკაცრად დასაჯონ დამნაშავენი, განსაკუთრებით ადმინისტრაციიდან. შუშისა და ჯევანშირის რაიონში არავითარი ხოცვა-ჟლეტა არ ყოფილა. ერთი თვის წინ ყველა სოფლების ევაკუაცია მოხდა და ჩვენ ჯარს დაჭერის დროს სოფლები სულ ცალიერი ხვდებოდა. იყო მხოლოდ შეიარაღებული ხალხი, რომელიც სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობას იღებდა, მცხოვრებთა ხოცვა, ჩვენი ცნობებით არც ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ფაქტიურ მდგომარეობით ის შეუძლებელი იყო. ჩემს შეკითხვაზე ნ. ბ. უსუბეკოვმა დღესაც ისევ გარკვევით განიმეორა, ოომ სამხედრო მოქმედება შეწყვეტილია. ნამდვილად თქმა, თუ სად იმყოფება ჩვენი ჯარი, არ შეიძლება. მე თვით არ ვიცი ეხლა. ქალ. შუშის შესახებ მე ვაცხადებ პროკურორის ამხანაგის ლაშკევიჩის ჩვენებას (კითხულობს).

თავმჯდომარე. შეიძლება თქვენ გსურდეთ ხანხოელის განმარტების შემდეგ დაკმაყოფილდეთ და ჩვენი დელეგაციის რეზოლიუცია შიიღო.

მამიკონიანი. სასურველი იყო გვცოდნოდა სულ რამდენი სომეხია მოკლული ყარაბახში?

ხანხოელი. ჩვენ არც კი ვიცით ჩვენი დახოცილ ასკერთა რიცხვი, რადგან 12 აპრილამდე ჩვენ ყარაბახთან კავშირი არ გვქონდა, რადგან ტელეგრაფის და ტელეფონის შავთულები აჯანყებულებმა გადასჭრეს.

ოგანჯანიანი. მე დიდათ მადლობელი ვარ ფატალი ხანის ამ ცნობების გამო, რომლებიც ჩვენ მაინც ბევრს ახალს გვაძლევს. მე ვფიქრობ, რომ კომისიებს უნდა მივცეთ ჩვენი ჩვენებანი.

ბეგეჰკორი. მე წინადადებას ვიძლევი ეხლა დავხუროთ სხდომა, რათა ხვალ თითოეულმა დელეგაციამ ცალცალკე გადასწყვიტოს ეს საკითხი და მოვიდეს აქ მზა გადაწყვეტილებით ჩვენი მომავალი მუშაობის ხასიათის შესახებ.

ბეკზადიანი. მე კი წინადადებას შემოვიტანდი შეგვეწყვიტა კონფერენციის ოფიციალური სხდომა და დაგვეწყო კერძო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. შეიძლება ამგვარი გზით უფრო შევძლებდით საკითხის გარკვევას.

სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა ინიშნება 18 აპრილის დღის 12 საათზე.

ერობა

ტფილისის მაზრის ერობა.

ამა წლის 29 აპრილის სხდომაზე გამგეობამ დაადგინა: 1) გაეგზავნოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას დეპეშა, რომელშიაც ერობა აღუთქვამს ყოველნაირ დახმარებას მობილიზაციის ზედმიწევნით ჩასატარებლად და მაზრის დემოკრატიას სწრაფად ფეხზე დაყენებას სამშობლოს დასაცავად; 2) მაზრა დაიყოს ოთხ რაიონად, რომლებშიაც მიემგზავრებიან გამგეობის წევრები და საგანგებო რწმუნებულები ერობისა. ესენი დაივლიან თემების უმთავრეს ცენტრებს და დიდ სოფლებს, რომ ადგილობრივ გასწიონ საერთო ხელმძღვანელობა მობილიზაციის ჩატარების საქმეში. მოახდენენ აგრეთვე ყრილობებს, რომლებზედაც გამოვლენ ხალხის წინაშე მოხსენებებით სამშობლოს კარზე მომდგარ საფრთხის შესახებ. გამგეობის წევრები დაჰყოფენ მაზრებში 4—5 დღეს, ხოლო საგანგებო რწმუნებულები დარჩებიან მობილიზაციის გათავებამდე. გამგეობის თავმჯდომარე დ. ე. ონიაშვილი მიემგზავრება მანგლისის რაიონში; გამგეობის წევრი ი. ა. ლომოური და მის თანამშრომლად ექიმი გ. ვ. პოლიტოვი აღბულაღისა და ასურეთის რაიონებში; გამგ. წევ. გ. ი. კანდელაკი გარეთ-კახეთის რაიონში; საგანგებო რწმუნებულად სართიჭალის სათემოში დანიშნულია ხმ. ინჟენერი არ. ბილანაშვილი; საგანგებო რწმუნებულადვე ყარაიაზის რაიონში მიემგზავრება არა ქართულ სკოლების ინსპექტორი ნ. ვ. პოლიტოვი, ხოლო ამ დღეებში გაემგზავრებიან სხვები დანარჩენ რაიონებშიაც; 3) მაზრიდან უკვე ცხადდებიან მობილიზაციით გაწვეულნი ჯარისკაცნი ტფილისში სამხედრო აღრიცხვის უფროსთან. აქვე მოქმედობს ერობის მიმღები კომისია. გარდა ამისა სამხედრო აღრიცხვის სამნეო ნაწილთან დანიშნულია ერობიდან დროებით ხმოსანთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი კ. ჰყონია, რომელსაც დავალებული აქვს დაეხმაროს ზედამხედველს ჯარისკაცთა გამოკვების საქმეში და ჰქონდეს ამ საქმისადმი ჯეროვანი ყურადღება; 4) ამასთანავე მაზრის ერობამ მიმართა მოწოდებით მაზრის მცხოვრებთ დასდგენ ფეხზე სამშობლოს დასაცავად თათრულ-ბალშევიკურ საფრთხისაგან. მოწოდებები გავრცელდა მაზრაში რამდენიმე ათასობით და ასევე გავრცელდა მთავრობის თავმჯდომარის მოწოდებაც.

ახალი ამბები

მაისის 7. გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა: მდგომარეობა ყველა ფრონტზე უცვლელია.

◆ პრეს-ბიურო იტყობინება, რომ ის ცნობები ვითომ ინგლისის სამხედრო და დიპლომატიური მისია სტოვებდეს ტფილისს—სიმართლეს არ შეეფერება.

◆ კვირას, მაისის 9, ქალაქის საბჭოს შენობაში შესდგება ტფილისის ჟურნალისტთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა კრებადღიურ წესრიგში განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: საორგანიზაციო კომიტეტი, წესდების განხილვა, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

◆ კვირას 9 მაისს ქართულ კლუბის დარბაზში გაიმართება პარიზის გრანდოპერის მომღერალ მიშელ დარიალის (ნანობაშვილის) კონცერტი.

◆ ქალაქის მედიკო-სანიტარული ბიუროს გამოანგარიშებით 15-21 აპრილამდის სხვა და სხვა სენით ავად გამხდარან: პარტახტიან სახადით—13, მუცლის სახადით—2, შექცევის სახადით—4, წითელათ—8, დიფტერიტით—1.

◆ გორის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარ კომიტეტმა მოიწონა და დაამტკიცა ქალაქთა კავშირის სატეხნიკო განყოფილების მიერ წარდგენილი პროექტი შენობებისა, რომლებიც აშენდებიან ისე, რომ მიწის ძვრის შემთხვევისგან ალარ დაინგრევიან.

◆ დამფუძ. კრ. ხელოვნების კომისია იწვევს, მუშათა პროფ. კავშირების, კოოპერატივების: ამქრების, კულტურულ განმანათლებელ და სხვა დაწესებულების წარმომადგენლებს მაისის 9-ს 6 საათისთვის დამფუძ. კრ. პრეზიდიუმის დარბაზში 26 მაისის დღესასწაულის გამართვის გამო.

განცხადებანი

ტფ. მიხ. საავადმყოფო

აცხადებს, რომ შაბათს, 8 მაისს, საავადმყოფოს ეზოში $9^1/_2$ საათზედ დილით დანიშნულია ვაჭრობა ნივთებისა, რომელიც დარჩათ საავადმყოფოში მიცვალებულთ და აგრეთვე მოსვენებულ მიცვალებულთ. 493 2—2

დაიკარგა უვადო პასპორტი ვსევოლდ ვასილის ძე დრაგენვიჩის სახელზე და სააუქციონო იარლიკი 9995 ფ. ნავთზე წარმომდგ. ბენკენდორფის. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 863 3—1

კირა ეგნატეს ასული აკრიპოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, მის სამელზე, რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისის მე-5 უბ., ქალ. № 1025 და შეიცავს მიწის ნაჭერს 54 კვ. ს. შენობებით. სიგელი დამტკიცებულია ტფ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1917 წ. იანვ. 19-ს, რეესტრ. № 136. 833 2—1

ქ. ტფილისის მე-5 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ დავით ივანეს ძის აღბაშოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ქონების გამო მე-X ტ. 16ა№. 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაზედ. 0378 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 44 დ. პოლიტეხნიკუმში შესავლელი ბილეთი № 44 მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან ტარასი ივანეს ძე ჭურთუბაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 922 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული კულაშის თემიდან და სამხედრო სამსახურის ნუსხა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1919 წ. აარონ მოშას ძე მირელაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 924 3—1

დაიკარგა ექვსი თვის პასპორტი ხაჩატურ იოსების ძე არიუთინოვის სახელზე მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 874 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრისაგან თავისუფლების მოწმმობა მიხეილ ლევანის ძე ლუარსაბაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 875 3—1

დაიკარგა პასპორტი მინა გედევანის ძე ლომიძის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 876 3—1

დაიკარგა პასპორტი № 664 მესროპ მიკირტას ძე ირანოსიანცის სახელზე, მიღებული სომხეთის წარმომადგენელისაგან საქართველოში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 878 3—1

ქუთაისის საეპარქიო სასამართლო ამით აცხადებს, რომ 25 მარიობისთვეს ათას ცხრაას ცამეტ წელში აქ შემოიტანა თხოვნა მცხოვრებმა ს. სვირში პელაგია ალექსი ცხადაძის ასულმა ქმართან მიხეილ ილიას ძე კურბატოვთან განქორწინების შესახებ; ისინი ჯვარდაწერილნი არიან სვირის წმინდა გიორგის ეკლესიაში 1 ივლის 1908 წ. ხოლო ათი წელია, პელაგია კურბატოვის განცხადებით, მისი ქმარი მიხეილ კურბატოვი უგზო უკვალოთ დაიკარგა. ამ განცხადების ძალით, ყველა ვინც იცის სად ცხოვრობს მიხეილ კურბატოვი, ვალდებულია განუცხადოს ქუთაისის საეპარქიო სასამართლოს სამი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა. 0412 1—1

დაიკარგა მოწმობა დავით გიორგის ძე ბადრიძის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 945 3—1

დაიკარგა პასპორტი № 24 ვიკენტი სტანისლავის ძე რადინსკის სახელზე, მიღებული ლიტოვის მისიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 869 3—1

დაიკარგა ზუგდიდის 6 კლასიანი სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი № 331 ვლადიმერ მანუჩარის ძე როგავას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 860 3—1

დაიკარგა პაპიროზებით ვაჭრობის ნებართვა სოფიო გრიგოლის ასული ტერ-აბრამოვის სახელზე, მიღებული ქალ. ტფ. თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 870 3—1

დაიკარგა სასურსათო წიგნაკი № 32821 ვერა ნარეკაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 862 3—1

დაიკარგა პასკევიჩის ქუჩაზე № 8 მდებარე ძმები მანთაშევების სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 866 3—1

დაიკარგა ექვსი სულის სასურსათო წიგნაკი № 13530 გრიგოლ სამჭკუაშვილის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—2 852

დავკარგე სახელმწიფო უნივერსიტეტის სამათემათიკო საბუნების მეტყველო ფაკულტეტის სამეურნეო დარგის სტუდენტმა სერგო ბ. შარშანიძემ სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწმობა. 832 3—3

დაიკარგა სამი სულის სასურსათ წიგნაკი № 5394 ანდრია კლემენტის ძე ლორთქიფანიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 814 3—3

დაიკარგა პასპორტი სერაფიმა ივანეს ასული გოლუბევას სახელზე, მიღებული ქ. ვიტებსკის პოლიციის სამმართველოდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 901 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3466 ვიქტორ ვლადიმერის ძე ნაგაევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 11 ივლის 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს 902 3—3

მოწმობა № 124, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან კოსტანტინე მიხეილის ძე ნაკაშიძის სახელზე 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 848 3—3

დაიკარგა დროებითი მოწმობა ტიგრან გერასიმეს ძე გენჯუნცევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 887 3—3

მიხეილ იაკობის ძე დავარაშვილმა დავკარგე სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა მოცემული გორის სამხედრო უფროსისგან № 1102. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 826 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ოქონის საზოგადოებიდან და სამხედრო ბეგრისაგან თავისუფლების მოწმობა მიღებული გორის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან სპირიდონ გაბოს ძე გოგიჭაშვილის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 812 3=3

ელენე ფრანცის ასული ლენიაკინა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარ. მიერ 1910 წ. აპრილის 1[illegible]-ს № 1160. 825 3—3

ივანე ილიას ძე მაზიაშვილი აცხადებს3 რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებულილი ტფ. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისაგან და მეორე კომისარიატში გამოცხადების მოწმობა (ნაუჩოტნიკი). გაუქმებულათ ჩაითვალოს. 849 3—3

დაიკარგა 4 სულის სასურსათო წიგნაკი № 10782 ივანე ნიკოს ძე იჩკითის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 840 3—3

პეტრე გიორგის ძე ქებაძე აცხადებს. რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ყირიმის ქართულ ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარისგან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 797 3—3

კონსტანტინე გარსევანის ძე ქასაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მე-5 უბნის მომრიგებელ მოსამართლიდან 1919 წ. ოქტომბრის 23-ს მიღებული აღმასრულებელი ფურცელი № 344 გარდაცვლილ ალექსი ტატოშვილის ქონებიდან ფულის გადახდევნების შესახებ. ფურცელი გაუქმებულათ ითვლება. 795 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი მარიამ მარტიროსის ასული არაქელოვას სახლისა, რომელიც მდებარეობს პუჩკოვსკისა და მეტეხის ქ. კუთხეში № 13|15. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 798 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა მარიამ ჩაუსოვას სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამართველოდან, 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 903 3—3

დაიკარგა ორლოვის ქუჩაზე № 19 მდებარე ანა ლებანიძის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 850 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი პოგოს სიმონის ძე ტერ-ავეტისიანის სახელზე, მიღებული ერევნის მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 893 3—3

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი.**